№ 88

ხუთშაბათი, 29 აპრილი, 1899 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 88

ხუთშაბათი, 29 აპრილი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გაზეთი „,ივერია" პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე ღირება 7 მან. 25 კაპ.

„,ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" გამგეობამ მიიღო ბ-ნის გუბერნატორისაგან ნებართვა გამართოს საზოგადოების სასარგებლოდ

**სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ.**

სეირნობა და ბაზარი გაიმართება მაისის დამდეგს. ვისაც სურს დახმარება აღმოუჩინოს ბაზრის გამართვას, შემოწირულება უნდა გამოუგზავნოს ტფილისში კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი 6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)

ხუთშაბათს, 29 აპრილს 1899 წ.

**ნიკიტინის ცირკში**

ახლად თეატრად გადაკეთებულში ქართული თეატრის მსახიობთა მიერ, ქუთაისის მსახიობის **ნემოს** მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

I

**ბაიყუში**

ფარსი 2 მოქმედ.

II

**ადამ და ევა**

ფარსი 2 მოქმედ.

III

**დათვი**

კომედია 1 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. რჩეულოვისა, საყვარელიძისა, წერეთლისა. ბ-ნნი: **ნემო**, ადამიძე, მჭედლიშვილი, საფაროვი, კანდელაკი, შველიძე, გოცირიძე, კავთელი, ურუშაძე და სხვანი.

ადგილების ფასი 10 კაპეიკიდგან 1 მანეთამდე.

დასაწყისი 8½ საათზედ.

რეჟისორი ა. ადამიძე

**„,შუამავალი"**

ამხანაგობის მაღაზია გადადის თამამშევის ქარვასლაში, პუშკინის სკვერის წინ. (10—6.—3)

## ახალი ამბავი

*** 27 აპრილს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე საღამოს მატარებლით ტფილისიდგან ქუთაისში წავიდა.

ამავე დღეს ქუთაისშივე წავიდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი იქაურ სასწავლებელთა სარევიზიოთ.

*** 26 აპრილს, ღამის თორმეტ საათზე, ტფილისში ჩამოვიდნენ კავკასიის მთავარ-მართებლის მეუღლე კნეინა მ. თ. გოლიცინისა და ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი სვეჩინი.

*** ნიკიტინის ცირკში ამიერიდგან გაიმართება ყოველ ხუთშაბათს ქართული წარმოდგენები. სხვათა შორის, დღეს, 29 აპრილს, წარმოდგენილი იქნება: „ბაიყუში", „ადამ და ევა" „დათვი". ფასები ყოვლად ხელ-მისაწვდენია. 10 კაპეიკიდგან 1 მანეთამდე. მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: რჩეულიშვილისა, საყვარელიძისა, წერეთლისა, ბ-ნნი ნემო (ქუთაისის არტისტი), ადამიძე, მჭედლიშვილი, საფაროვი, კანდელაკი, გოცირიძე, შველიძე, კავთელი ურუშაძე და სხვანი.

*** 26 აპრილს ტფილისის ქალაქის საბჭომ შეიწყნარა მოსკოვის ქუჩის სახლის პატრონთა თხოვნა იმის შესახებ, რომ საქალაქო ფიცრული დუქნები, რომლებიც გაშენებულია ხევზედ იმ ადგილას, სადაც მოსკოვის ქუჩა უერთდება ოლგას ქუჩას, დანგრეულ იქმნასო. რადგან ეს დუქნები, მთხოვნელთა სიტყვით, ერთობ აუშნოებს მოსკოვის ქუჩას და იქაურ სახლებს ფასს აკლებს. იმავე კრებაზედ კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ: 1) საფინანსო კომისიის წევრებად ა. ა. ივანენკო და ლ. ფ. ტიგრანოვი, ხოლო იმ კომისიის წევრებად, რომელმაც უნდა განიხილოს რამდენად საფუძვლიანია ზოგიერთ მემამულეთა თხოვნა იმის შესახებ, რომ დასაფასებელ გარდასახადისაგან გაგვანთავისუფლოს საბჭომო, ი. ს. ალიხანოვი, თავ. ა. ი. ბებუთოვი, ი. ს. ბულდანოვი, ბ. პ. ვესელოვზოროვი, ვ. ს. ეგიაზაროვი და ამათ კანდიდატად—გ. მ. კალოუბნელი.

*** დღეს, 29 აპრილს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს კრება, რომელზედაც განხილულ იქნება ქ. ტფილისის 1899 წ. შესავალ-გასავლის ანგარიში.

# ფელეტონი

### ბებია ხვარამზე

(მოთხრობა)

I

ხალხი ამბობს: ვინც თავი არა თქვა, იმისი ვერც ბოლო გაიგესო, და მაშ ჩვენც თავიდგანვე გავიცნოთ, ვინ იყო და რა იყო ქალობაში დღევანდელი ბებია ხვარამზე ზღვასავით მღელვარე ცხოვრების სხვა-და-სხვა ჭირ-ვარამიანის უბედურება-შემთხვევით, თუ უსულგულო ადამიანთა უსამართლობით, რომელიც ადამინს ღვთისგან მიმადლებულს ტკბილს სიცოცხლესაც-კი უჯოჯოხეთებს, თავის გაჩენის დღე და საათს ალანძღვინებს, მთელს ცა-ქვეყანას წყევლა-კრულვით ახსენებინებს და ღვთის სამართალსაც აგმობინებს. აკი თვით ცა-ქვეყნის შემოქმედ-დამბადებელი ღმერთიც იმიტომ დაბინადრებულა იმ სიშორეზე ზეცაში, თორემ ახლო რომ ყოფილიყო, მაინც ბოროტ-საზიზღარ ადამიანთა უგუნური და ავაზაკური უსამართლობა აქამდის იმასაც მისწვდებოდა და წამების ჯვარზედ გააკრავდა უშიშრად და უსირცხვილოდ.

თექვსმეტის წლის ხვარამზე ახლო-მახლო სოფლებშიაც-კი განთქმული იყო თავის საარაკო სილამაზით და ბევრი დასანიშნად ყელ-მოღერებული სოფლის ბიჭი იხრუკებოდა ხვარამზეს შავი-ჟუჟუნა, დიდრონ თვალების გიზგიზა ცეცხლით და მისივე შუქნათლიან ცხვირ-პირის ქანდაკებასავით გამოსურათხატებულის სიმშვენიერით. ერთის სიტყვით, გაიმზევარდებულ ხვარამზეს სრულ-ქმნილი სილამაზეს სახე-თვალ-წარბისა ციდამ მოწყვეტილ ციცკარივით კაშკაშებდა, მაისის ვარდივით ღაღანებდა და ძვირფას ატლასივით იალ-ციალ-პრიალებდა კაცთა გრძნობის მოსახიბლავად.

როდესაც ხვარამზეს დედ-მამა, ძმა და ძმის ცოლი აღდგომის კვერცხსავით შეჰხაროდნენ თავიანთ სილარიბიდამ ამომყვანს, მშვენივრად ნამსხმოიარე ვენახს, რომლის მოწეული რქა-წითელი ცეცხლსავით ღუოდა კოხტად გაფურჩნულ-ახვეულს ვაზებზედ და ხვარამზესაც დანიშვნა დაუპირეს ვენახის მოსავლის კაი პირით დაიმედებულებმა, სწორეთ ამ დროს გამოუტყვრათ ეშმაკის ზარბაზანივით დიდი უბედურება და მათს ქოხში გლოვა-ტირილისა და თავში ცემის მეტი აღარა გაისმოდა რა, რომლის მიზეზი შემდეგი იყო: მოთმინებიდამ გამოსულმა და გულ-გამეხებულმა ხვარამზეს ძმა-გიგიამ ჩხუბში რაღაც მძლავრ-საზარელ ხმით დაიღრიალა: „მაშ მაღლა ღმერთი და ქვეყანაზედ სამართალი აღარა ყოფილაო"! და იმ კაკალს ქვეშ, სადაც ყინვასავით ცივი და ბროლივით წმინდა-ანკარა წყარო გამოჩუხჩუხებს, მოკლა ხანჯლით მოქრთამე მოხელეების შემწეობა-მფარველობით მეტის-მეტად თავ-გასული, ქვეყნის ცოდვის მჭამელი ვაჭარი ღლღო პეტრუზოვი, რომელიც ხშირად იტყოდა ხოლმე თავმომწონედ თავის ცოლ-შვილთან ლაპარაკში: იმისი ცოცხალთ იკიან, მკვდარს საით უზმენ თავსაო! მკვლელობის მიზეზი იყო, რომ სოფლიჭამია ღლღო პეტრუზოვმა, რომელსაც მოუღალავის ყბედობისათვის ხალხი „ძაღლის ყბას" ეძახდა მეტსახელად, დაჰხვივა ჩვეულებრივის თავნებობით თავისი ოტროველა მოჯამაგირეები და მთლად დაჰკრიფა გიგიას ჭირისოფლით მორწყული ვენახი ფუტკრის ქოლივით ნაბლარტყალის სარგებლის სარგებლებში და უსულღმერთო „ნეუსტოიკებში".

გიგიას სატუსაღოში დაჭერის უმალვე გასწია გიგიას გულ ნამტირალმა და თვალ-ცრემლიანმა, მოხუცმა მამა-აბრიამ, მივიდა სადაც ნადიამბეგარი თავადი რეზიკო სცხოვრობდა, უამბო ქუდ-მოხდილმა გიგიას დაჭერის ამბავი, მერე ჩაუვარდა ფეხებში ნადიამბეგარს და შეევედრა:

— გვიშველე რამე, კნიაზო, შენი მუხლის ჭირიმე, გაგვიწიე მოწყალე შემწეობა, რო ჩემი ღარიბი ქოხმახის დედა-ბოძი და წვრილი შვილების მამა გიგია ციმბირში არ გაგზავნონ და, რა ვიცი, ჩვენი მეორე ღმერთი გაჰხდები. დავგირავდებით ჩვენც თავიან-სახლ-კარიანად და რამთენსაც გვიბძანებ, იმთენს მოგართმევთ, შენი კვნესამე.

ნადიამბეგარს სახე-თვალების გამომეტყველებაში გულის სიამოვნების კმაყოფილება გაუბრწყინდა, რადგანაც აბრია არაშენდაშვილის ქალის ხვარამზეს ქება არა ერთხელ და ორჯელ გაეგონა და ასეთი შემთხვევა ბედი იყო მისთვის.

— კარგი, მოხუცო, კარგი, ძალიანაც მებრალები, შე საცოდაო, მაგრამ აბა რა გაეწყობა, რა გითხრა, რით განუგეშო ასე ხელდახელ, ყველას წამალი მოთმინებაა და შენც მოითმინე დილამდის, ამაღამ „ზაკონის" წიგნებს გადავიკითხავ, ხვალ მოდი და გეტყვი: ეშველება რამ მაგ საქმეს, თუ არა,—რაღაც ყალბი გულმტკივნეულობის თანაგრძნობით უთხრა ნადიამბეგარმა ოთხმოცის წლის წელში მოღუნულს აბრიას, რომელიც გულში იმედ-ჩასახული დაბრუნდა სახლისკენ.

ნადიამბეგარს რეზიკოს იმ ღამეს თვალზედ ლული აღარ მოეკიდა, წამოდგა ქვეშაგებიდამ ძილ-დამფრთხალი, გადიცვა დილის ხალათი, მოუკიდა თავის გძელ-ტარა ჩიბუხს და დაუღალავის ბოლთის ცემით დადიოდა წინ და უკან თავისს მარტოოთახში ვნებათა ღელვისაგან თავით-ფეხამდის თონესავით გავარვარებული. მათის ბრწყინვალების ასეთის მოუსვენრობით აღშფოთებული ღელვა-ვნება მისმავე იმ ტკბილმა ოცნება-ფიქრმა გამოიწვია, რომ აბრიას ასეთი უბედურება აბრიასავე მშვენიერს ხვარამზეს მალე ხელში ჩაუგდებდა.

ნადიამბეგარი რეზიკო სამოცის წლის კაცი იყო, სამი ცოლი საიქიოს გაესტუმრებინა მშვიდობიანად, ხუთი გათხოვილი ქალი ჰყვანდა და ორიც ცოლშვილიანი ვაჟი სადღაც სამსახურში, მაგრამ თავად რეზიკოს დაუბერებელს გულს და მისს მამაცობა-გულოვნობას ბევრი ახალგაზდა, ყმაწვილი კაციც შეჰნატროდა, რადგანაც სმოცის წლის ჭარმაგს რეზიკოს ვერავინ აჯობებდა ვერც ცხენის ჯირითში, ვერც ნადირობაში, ვერც ხმალ-ხანჯლის მოხმარებაში, ვერც თამადობაში, ვერც ჯამ-ჯიხვებ-აზარფეშებით ღვინის სმაში, ვერც სიმღერაში, ვერც თარისა და ჭიანურის დაკვრაში, ვერც მოსწრებულს სიტყვა-პასუხში, ვერც ქალის მომჯადოებელ-საარშიყო მეტყველებაში, ვერც სხვა-რამ ვაჟკაცურს გაბედულობა-გულადობაში და ვერც დავლურ-ლეკურ-კინტოურის თამაშობაში.

ჩერქეზულს ტანისამოსში კოხტად გამოწყობილი, მუდამ წმინდან პირმოპარსული, არსენასებურ ულვაშებდაგრეხილ-დაწკეპილი და პირის პატივისაგან წითლად ლოყებ-ალაქლაქებული მათი ბრწყინვალება რეზიკო სადმე დიდს კამპანიაში გაზაფხულივით აყვავილებულ აჭრელებუ-

*** გუშინ, 28 აპრილს, ქალაქის გამგეობაში იყვნენ საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბ-ნი აბელი და ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორი ბ-ნი ვორონოვი, რომელთაც ზოგიერთი რამ უნდა გამოეძიებინათ.

*** რადგანაც საგაისოთ შესრულდება ასი წელიწადი, რაც საქართველოში რუსეთის გამგეობა დამყარდა, ტფილისის ქალაქის საბჭომ განსაკუთრებული კომისია ამოირჩია და დაავალა სახსოვარ ეყო რითიმე ეს ისტორიული და ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. კომისია მაშინვე იმ აზრს დაადგა, რომ ტფილისში საპოლიტეხნიკო მუზეუმი დავაარსოთო, რის გამოც მოსკოვის ამ გვარისავე მუზეუმის გამგეთ სთხოვა ზოგიერთი ცნობები. გუშინ, 28 აპრილს, უკვე მიუღიათ მოსკოვიდგან ვრცელი ცნობები, პლანები და აღწერილობანი მუზეუმში დაცულ კოლექციებისა.

*** როგორც ეტყობა ტფილისისა და ერევნის გუბერნიების მემამულენი გულმოდგინეთ შესდგომიან ვენახების წამლობას. სხვათა შორის ეს იქიდგანა სჩანს, რომ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საწყობიდგან 2,500 მ. შაბიამანი და გოგირდი უყიდნიათ.

*** 1900 წ. პარიჟის მსოფლიო გამოფენაზე ბევრი ჩვენებური მემამულე აპირებს თურმე კავკასიურ ღვინის ჰაშნიკების გაგზავნას; ამავე გამოფენაზე გასაგზავნათ ამზადებენ განსაკუთრებულ რუქას მევენახეობის შესახებ კავკასიაში. („ტფ. ფურც“.)

*** გაზეთ „კავკასის“ სიტყვით, პროვიზორი ბ-ნი ალხაზიშვილი სთხოვს მთავრობას, რომ მას ნება მიეცეს სოფელ გურჯაანში აფთიაქის დაარსებისა, ვინაიდგან ამ სოფელში ათას კომლზედ მეტი მცხოვრები ყოფილა და უწამლობით დიდ გაჭირვებაში არიან თურმე.

*** რადგანაც კავკასიაში სხვა-დასხვა ტომის ხალხი სცხოვრობს, ამიტომ ჩვენში ჯარის-კაცად გაწვევის საქმე დღემდის ცოტა სხვა-გვარათ იყო დაყენებული, ვიდრე ეს საზოგადოთ მიღებულია რუსეთის იმპერიაში. მაგალითად: ჩვენში ჯარის-კაცად ახლად გაწვეულთ ორ ნაწილათა ჰყოფდნენ: მკვიდრ მცხოვრებლად (ქართველები და სომხები) და არა მკვიდრად—(რუსები, გერმანელები, ბერძნები, ურიები, რუსეთის შინა გუბერნიებში მცხოვრები თათრები, მალაკნები და სხვ.) გარდა ამისა მკვიდრ მცხოვრებთ პოლკებში მთავარ-მართებელი ამწესებდა, არა მკვიდრთ სამინისტრო. დღეის შემდეგ-კი ისეთი განაწილება ახლად გაწვეულ ჯარის-კაცთა უნდა მოისპოს სახელმწიფო საბჭოს წინადადების უმაღლესად დამტკიცებისა გამო. ამიერიდგან, როგორც მკვიდრთა, ისე არა მკვიდრთა ჯარის-კაცთა პოლკებში გამწესების საქმე უნდა დაექვემდებაროს მარტო სამინისტროს, რისთვისაც კავკასიის ყველა გუბერნატორებმა დაავალეს მათდამი რწმუნებულ სამხედრო საკრებულოთ მომავალ წელში ჯარში გასაწვევ-ა მხოლოდ საერთო სია წარმოადგინონ. (საჭირო არაა აღინიშნოს ვინ არის მკვიდრი მცხოვრები, და ვინ არა მკვიდრი). ამგვარად ჯარში გაწვეულთა შორის აღარავითარი გარჩევა არ იქნება. და თუ აქამდის ისე იყო დაკანონებული, რომ სამსახურისათვის უვარგისის მკვიდრის ჯარის-კაცის ადგილს ისევ მკვიდრივე იჭერდა და არა მკვიდრისას—არა მკვიდრი, ამიერიდგან, თუ საჭიროება მოითხოვს, ერთს მეორის ადგილს დააჭერინებენ („ტფ. ფურ.“).

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ევროპიელი ოთხი მოგზაური: ინგლისის ქვეშევრდომი დჯემს გრანტი, შვეიცარიელი ემილ ვომოლიაერი, ავსტრიელი—მორიც ფაბერი და თეირანში არსებულის გერმანიის საელჩოს მდივანი ფონ-ეკნერდი. („ტფ. ფურც.“)

*** ქუთაისი. 25 აპრილს, სადამოს რვა საათზედ, საბჭოს დარბაზში ბ-ნ მ. ა. ქიქოძის თავმჯდომარეობით შესდგა ცეცხლისაგან ქონების დამზღვევის ქუთაისის საურთიერთო საზოგადოების წევრთა კრება, რომელმაც მოისმინა 1898 წლის ანგარიში ამ საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა. როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, 1899 წლის იანვრის პირველ რიცხვამდის საზოგადოებას ჰყოლია 326 წევრი, რომელთაც დაუზღვევიათ 1,447,500 მანეთის შენობები. აქედგან საზოგადოებას შემოსვლია მარტო პრემიად 5646 მ. 96 კაპ., მიმდინარე ხარჯი ჰქონია 2652 მან. და 32 კ., ცეცხლისაგან დაზარალებულთა დასაჯილდოვებლად დახარჯულა 3763 მ. 28 კ. (აქედგან ადგილობრივ მცხოვრებთა დასაჯილდოვებლად 2188 მ., ხოლო მოკავშირე საზოგადოებათ გაეგზავნა 1575 მან.); 218 მ. და 46 კაპ. მოაკლდათ იმ დამზღვევთ, რომელთაც დიდი ხანია, რაც ქონება დაუზღვევიათ; 157 მან. 14 კაპ. მიემატა სათადარიგო თანხას, რომელიც ეხლა უდრის 9086 მ. 30 კ. ბოლოს საზოგადოებამ დაამტკიცა წარსულის წლის და ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვა (2601 მ.). გამგეობის წევრად არჩეულ იქმნა ერთხმად წინანდელი წევრი ბ-ნი ი. გ. ჩიმაკაძე და სარევიზიო კომისიის წევრებადაც ისევ წინანდელნი: დ. ნ. აბდუშელიშვილი და ი. ი. მურადოვი.

*** 25 აპრილს, სადამოს 10 საათზე, გერმანელთა სასაფლაოს გვერდზე მოდენილა მე-16 გრენადერთა მინგრელსკის პოლკის ჯარის-კაცი დავით გოხაშვილი. გოხაშვილი წაქცეულა და უეცრად გარდაცვლილა. მიცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში წაუღიათ. („კავკაზი“).

*** კნეინა ბარბარე თარხან-მოურავისას პუშკინისა და სუვოროვის ძეგლების ასაგებად არსებულ ფონდისათვის შეუწირავს 20 მანეთი: ათ-ათი მანეთი თითოეულისათვის. („ახ. მიმ.“)

*** ოზურგეთის ორ-კლასიან დედათა სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტი დიდ მადლობას უცხადებს ამ სასწავლებლის სასარგებლოდ გამართულ სადამოს გამგეს ბ-ნს ლაზარენკოს, თავ. ნაკაშიძეს სადამოს გასამართავად სახლის უსასყიდლოდ დათმობისათვის, ხოლო პოლკოვნ. ჩვალინსკის, სოფიო თუმანიშვილისას და ზაქარია ყიფშიძეს მხურვალე დახმარებისათვის. ამ სადამოდგან წმინდა შემოსავალი ყოფილა 117 მ. და ერთი შაური. („ახ. მიმოხ.“)

*** „ქ. ბაქოში დიდი უწესოება და ჩხუბი მოუხდენიათ გალოთებულ მეზღვეურთ (მატროსებს). მთელი ორი დღე ერთმანეთს თურმე თავ-პირს ამტვრევდნენ და რამდენიმე დუქანი დაულეწნიათ. პოლიცია ვერაფერს გამხდარა და ჯარი მიუშველებია. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით დაუმშვიდებიათ მოჩხუბარნი. ბევრი მათგანი დასახიჩრებულა. ერთი კიდეც მომკვდარა და ერთი თურმე სიკვდილის პირათ არის. საავადმყოფოს მორიგე ექიმი მოჩხუბართა ჭრილობის შეხვევას ვერ ასდიოდა. მადლობა ღმერთს, რომ მკვიდრი მცხოვრებნი არ გარეულან ამ ჩხუბში, თორემ ვინ იცის რა უბედურება დატრიალდებოდაო“, დასძენს გაზეთი „ახალი მიმოხილვა“.

*** კნეინა ს. ი. ვახვახიშვილისათვის, 26 აპრილს, დიდუბის ეკკლესიაში ყოფნის დროს ჯიბიდგან ორმოცი მანეთი ამოუცლიათ.

*** 26 აპრილს, სადამოს, საბურთალოზედ საქეიფოდ წასულა რამდენიმე ყმაწვილი კაცი; ქეიფობის დროს სხუბი მოსვლიათ და ერთს მათგანს, თერძს ლომიძეს ხანჯლით მოუკლავს ერთი კაცი და დაუჭრია სამი კაცი.

## მეაბრეშუმეთა საზოგადოების წლიური კრება სოფ. კუხში.

20 აპრილი

დასასრული *)

ი. ქუთათელაძე. ბატონებო, დღევანდელის კრების ასეთი არეულ-დარეულობა კიდევ ნათლად გვიმტკიცებს იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენის ამხანაგობის კეთილდღეობისათვის საზოგადო კრებების მაგივრად წარმომადგენლობის შემოღებას, მაგ., 10 წევ. 1 ერთი წევრი რომ იყოს. თორემ ხომ დარწმუნდით, რომ ეს მეოთხე წლიური კრებაა დღეს და სულ ასე არეულ-დარეულობა იყო ყოველს კრებაზედ და საქმის შესახებ-კი სჯას ვერ ვახერხებთ და ვერ ვასწრებთ. რაც შეეხება ანგარიშს, მმართველის მიერ წარმოდგენილს, ანგარიში ისე არის შედგენილი, როგორც წარსულ წლებში იყო მოკლედ და გაუგებრად. ზოგი იმისთანა მუხლია ნაჩვენები, რომ ბევრს იწვევს ჰბადებს და დიდს ახსნასა და საბუთებს თხოულობს. შეიძლება მაგის მიზეზი ის იყოს, რომ მმართველს დრო არ ჰქონდა, რომ უფრო ვრცელი ანგარიში შეედგინა. დავავალოთ შემდეგისათვის, რომ უფრო ვრცელი და ადვილად გასაგები ანგარიში იქმნას შედგენილი. სასურველია, ჩვენი ამხანაგობის ანგარიში იმნაირ ფორმით იქმნას შედგენილი და ადრევე გაეგზავნოს თითოეულს წევრს, როგორც, მაგალითად, „ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობას“ აქვს შემოღებული (აჩვენებს გორის მემამულეთა ამხანაგობის დაბეჭდილს ანგარიშს. კარგი იქმნება, კარგი, დეპუტატები იქმნას, დეპუტატები! გაისმის ხმა ხალხში). ხმაურობა და ყვირილია.

*) იხ. „ივერია“ № 87.

---

ლის მანდილოსნ-ქუდოსნებით ალყაშემორტყმულს იატაკზედ რომ ლეკურს დაუვლიდა გზრიალასავით და რკინის გზის გორგოლასავით თვალმოუკრავად აათამაშებდა მესტებ-ჩაცმულ ფეხებს, და როდესაც ბოლოს მთელი კამპანია სთხოვდა: კნიაზო, ეხლა კინტოური ითამაშეთო, და რეზიკოც რომ ახლა კინტოურს ითამაშებდა თავმომწონედ და თანაც ბუქნას დაჰკრავდა ზედი-ზედ ფრთოსან მერცხალივით მალხაზად, მთელს გაშტერებულს კამპანიას დაიცხულ შაშვივით ყბას ალებიმებდა თავისს სამოც-წლოვან ფეხების გასაოცარის სიმარდე-სიმკვირცხლით.

ასეთი ქუდ-ბედიანი დაუბერებელი სიმარდე-სიმამაცე გახლდათ კიდეც იმის მიზეზი, რომ სამოცის წლის თავად რეზიკოს კაი ბედი და გასავალი ჰქონდა ზნე-წამხდარს, ფეხ-რბილს ქალ-მანდილოსნებშიაც „დაუფეხრბილებლების დაფეხრბილებაშიაც“, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე ამას თავის მეგულისპასუხე მეგობრებთან დატრაბახებით. ერთის სიტყვით, იმ წლოვანებაში, რა წლოვანებაშიაც რეზიკო იყო, სახელ-განთქმულ დონჟუანსაც იშვიათად ექმნებოდა რეზიკოსებური ბედ-იღბალი და შნოუნარი ქალ-მანდილოსანთა მოხიბლვა-მოჯადოების გრძნეულება-ხელოვნებაში; სხვაც რომ სულ იქითა ყოფილიყო, მისი სამოც-წლოვანი პირ-მომცინარე სანდომიან სახის სილამაზე-მოხდენილებაც დ თვით გველის ხვრელიდგან გამომყვანი ტკბილმოუბარი ენაც, მარტო რეზიკოს დაუბერებელი, მარადის ტრფობის ცეცხლით აღსავსე შავი დიდრონი თვალებიც-კი ისეთის ანდამატიურის ძალა-მიმზიდველობით ჰხიბლავდნენ და ატყვევებდნენ ზოგიერთს მსუბუქის ჭკუის მანდილოსანს, როგორც გველი, რაღაც თილისმით მომჯადოებელის თვალებით ჩიტსა ჰხიბლავს, ადუნებს, ადგილიდგან ფეხს აღარ აძრევინებს და ბუმბულიანად ჰყლაპავს ყბა-გაბერილი.

რადგან ნადიამბევარ რეზიკოს ბედიც შესწევდა, გავლენაც და ნივთიერი შეძლებაც, ამიტომაც ფეხზედ ეკიდა იმას ქვეყანაც და ქვეყნის საქმეც. მისი ერთად-ერთი ფიქრი და საზრუნავი აწმყო-მომავალი ცხოვრებისა ის-ღა იყო, რომ წუთი-სოფლის ყოველგვარ სიტკბოების მოჭმას სცდილობდა, რათა ნან-ჩაუყოლებლივ მომკვდარიყო ყველა ნეტარება-სიამოვნების მნახავი, თუნდ ამ თავის ნეტარება-სიამოვნების გამოისობით ქვეყანაც გაუბედურებულიყო და მის სიკვდილის შემდეგ ქვა-ქვაზედაც აღარ დარჩენილიყო.

შორს, ღამის წყვდიადში, დალისტნის ბუმბერაზ-მთის მწვერვალებზედ დაბჯენილი, ვარსკვლავებით მოჭედილი, ლურჯი-კამკამა ცისკიდური მტრედის ფერად გარიჟრაჟდა და იქვე მოკაშკაშებულ ცის გუმბათის ლაჟვარდოსან ტატნობზედ სამზეური ცეცხლის ალივით ასანთებად ემზადებოდა მძიმე-მძიმედ და მედიდურად, მაგრამ მათს ბრწყინვალებას, ნადიამბევარს რეზიკოს-კი მაინც არ ეძინებოდა, კიდევ მოუსვენრად ბოლთას სცემდა თავის გამოყრუებულს მარტო ოთახში, და სიყვარულის მოუთმენარ ვნებათა ცეცხლით თავით-ფეხამდის რკინასავით გახურებულს თვალ-წინ ოცნება-განხორციელებული, მშვენიერი ხვარამზე ეხატებოდა და ელანდებოდა. მათი ბრწყინვალება ხვარამზეს ტურფა ლანდს სიყვარულით ელერსებოდა თავისს გონება-ფიქრში, ათასს ტკბილ-მომხიბლავს სიტყვას სიყვარულისას ეუბნებოდა არშიყობის ხელოვნებაში მოქარგულ - დახელოვნებულის ენით, ცეცხლივით მგზნებარე ტუჩებით ჰკოცნიდა მხურვალედ, გულმკერდში იკრავდა, თავის ღონიერს მკლავებში მოჭახრაკულს ღონემიხდილს ბემძვრალა ჩიტუნიასავით აწრიპინებდა გატკბილ-ნაზებულის კნასი-კნუსით და ასეთი აღფრთოვანებულის ოცნება-ფიქრით ნეტარად დამთვრალი დიდის გრძნობა-ეშხით მღეროდა შარბათივით ტკბილ-საამო ხმაზედ შემდეგს:

„სიყვარულო, ძალსა შენსა
ვინ არს რომე არა ჰგრძნობდეს,
შენგნით მეფე მონას ეყმოს,
შენგნით ბრძენიც გიჟდებოდეს“!..

— დასწყევლა ღმერთმა, კაცო, ეგ საფლავ ძაღლი, დაბერების ბადლად უფრო ახლდება თანდითან ჯორცხენასავით! გეყურება, ბართლომე, რა სიმღერა-ქეიფშია ამ უდროვო დროსაც კი ჩვენი ბატონი?—გაეძრახა რეზიკოს გამოღვიძებულს მზარეულს სამზარეულოს კუთხეში ცალიერს მიწაზედ ვაგლახად მიგდებული მეზვრე, რომელიც ბატონის სიმღერის აღფრთოვანებულმა ხმამ და უფრო კი მამლების ყივილმა გამოაღვიძა ჩვეულებრივად.

— რატომაც არ იქნება, შვილოსა, სიმღერა-ქეიფში, და ან მაგისთანა ბედ-ძლიერს ადამიანს რა დააბერებს, კაცო, ცეტი ხო არა ხარ! სადაც დიდი წვეულება-ლხინია—ყველაზე თავში ეგ არი წამოპლოტიკებული სუფრაზე, რაც-კი კაი და კაი ჯვარ-მენდლებია—სუ მაგას აყრია დაირის ქღარუნებივით ი გასახმობ გულ-ფიცარზე, საცა კაი ლამაზი, ფეხრბილი ქალი და რძალია—მაგისია, შენ ხარ ჩემი ბატონი, საცა კაი ღვინო, გამტკიცული, ერბო, ყველი, ჩახა-ჩახა მანათები, ძროხა, ცხვარი, ღორი, ქურანი, ირემი, მშველი, ჯერანი, ბატი, ინდო, ქათამი, ბატკანი, ბურვაკი, ხოხობი, კურდღელი, კაკაბი, იხვი, სავათი, სარსარაკი, და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, რაც-კი რამ სხვა ათასი ქანდიკეთილია ქვეყანაზე—სუ მაგ სამსახურიდამ დათხოვნილს მოზდის დღესაც უფასოდ, უხარჯოდ, უხარკოდ; სამი ციდამ მოწყვეტილი ვასკვლავივით ცოლი მოუკვდა, იმათი სიკვდილი აინუშიაც არ ჩაიგდო, შენი ჭირიმე-და, აბა ე მაგისთანა უდარდელს, გალაღებულს და ყველა ქანდიკეთილით ყველის გუდასავით ყელთამდის გატენილს ქოფაკს რა ეშმაკი და ქაჯი დააბერებს!.. რის დარდი აქვ, თავის სიცოცხლეს სუ ცმაგრე ლხინ-ქეიფიან სიძხიარულეში ატარებს და დღესაც იგეთი ძალუმი ჯან-ღონით სავსეა ეგ შეჩვენებული, რო ქვას რო ხელი მოუჭიროს,—წვენს გამოადენს.

— მართალს აბბობ, მართალს, ბართლომე, კაცი მარტო წყეულ სიღარიბის ვაი-ვაგლახიანს დაოდსა და ზრუნვას ლუკმა პურის მოვნისას უტეხხია და უბერებია უდრო-უჟამო და შუხანო წუთი-სოფელში. მაგრამ, ეჰ, დაილოცა ღვთის განგება და სამართალი, უფალს ხურავის დავემდუოებით, ღმერთი უფრო ჩვენზე ჰკვიახია, ვენაცვალე იმას ი ქვამაღლიან გოხეაში: სიღარიბე დაშიმშილი რო არ გაეჩინა, მაშინ კიდე უსაქმობა-ძილით ამოვწყდეთოდით ხელ-გაუძრავ მცოხარასავით,—ასე ინუგეშა თავი მეზვრემ, ლომად ამოიოხრა, გაახსენდა, რომ კვიოდღე თენდებოდა, აღარ ადგა, გადაბრუნდა მეორე გვერდზედ, გაისწორა ზევიდამ წახეულ ფილაჯა ძაღლუმადლოდ მიგდებულმა და მაშინვე ჩაეძინა და ხვრინვა ამოუშვა ბარვაში დაღლილ-დაწყვეტილმა.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგანაც ასეთი უთანხმობა და არეულობა გამოიწვია ანგარიშის კითხვამ, მე, როგორც თავმჯდომარე, ვაცხადებ, რომ ანგარიში მართლა მოკლედ და გაუგებრად არის შედგენილი, მისი გაგება არ შეუძლიან არამც თუ უბრალო უსწავლელ წევრს, არამედ ნასწავლსაც და მეც, სიმართლე გითხრათ, ვერაფერი გავიგე. ამისათვის საჭიროა ხელ-ახლავ შეადგინოს მმართველმა უფრო ვრცელი ანგარიში.

შეიქნა საშინელი ხმაურობა. თავმჯდომარემ განაცხადა, არეულობის გამო კრებას ვსპობო, და გავიდა. კრება იძულებული იყო დაშლილიყო, თუმცა ზოგიერთები ურჩევდნენ მმართველს აერჩია ახალი თავმჯდომარე. რამოდენიმე კაცმა ურჩია თავმჯდომარეს დაბრუნებულიყო და თუ გაგრძელება არ უნდოდა კრებისა, რაიმე განაჩენი მაინც შეედგინა, რომ კრება იყო და ამა და ამ საგნების შესახებ ესა და ეს გადასწყვიტაო. მაგრამ ბ. ს. ბახტაძემ არავის არც რჩევა და არც ხვეწნა არ შეიწყნარა და მდივანითურთ გაუდგა სახლის გზას.

კრების ასეთის დაბოლოვებით ისარგებლეს ამხანაგობის არსებობის მოწინააღდეგე ვაჭრებმა და გაავრცელეს ხმა, ვითომ ამხანაგობის საქმეები ცუდად მიდიოდეს, წაგება ბევრი იყოს და სხვა. ჩვენის აზრით დიდი წინდახედულობა და სიფრთხილე ჰმართებთ ამხანაგობის მართველობას და სარევიზიო კომისიის წევრებსაც, რომ ასეთმა ხმებმა ფეხი არ მოიდგას საზოგადოებაში, თორემ ბევრს ზარალს მოუტანს ამხანაგობის კეთილს განზრახვას. ამისათვის აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება მალე დაინიშნოს მეორე კრება, რომელსაც უნდა მოხსენდეს ამხანაგობის წარმოების სრული წლიური ანგარიში, მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა და სხვანი.

დასასრულ სასურველია, რომ რაც შეიძლება მალე შემუშავდეს ახალი წესდება და გაიგზავნოს დასამტკიცებლად. ის წესდება, რომელიც მმართველს ნ. წერეთელს გადმოუბეჭდია ნორმალურ წესდებიდგან, შეცვლილი უნდა იქმნას, რადგანაც ჩვენი ამხანაგობის მოქმედებისათვის სხვანაირი წესდებაა საჭირო, ვიდრე რუსეთში არსებულ ამხანაგობებისა, რომელთა მოქმედებისამებრ არის შედგენილი ნორმალური წესდება.

—ძე—ი.

# რუსეთი

მომავალ მაისის გასულს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარედგინება დასაარსებლად განზრახულის ახალის საზოგადოების წესდების პროექტი. ამ საზოგადოებამ ღონის-ძიებანი უნდა იხმაროს სხვა-და-სხვა გადამდებ ავადმყოფობათა მოსპობისთვის რუსეთში. წესდების ძალით, საზოგადოებას ნება ექმნება პეტერბურგს გარდა რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებშიაც იქონიოს თავისი განყოფილებანი.

— „С. О." სიტყვით, საერო განათლების სამინისტრო ამ მოკლე ხანში განიხილავს პროექტს საპედაგოგიო კურსების დაარსების შესახებ. ეს კურსები დაარსებულ იქმნება საგუბერნიო ქალაქებში. მიიღებენ იმ მასწავლებელ ქალებსა და კაცებს, რომელთაც სპეციალური საპედაგოგო სწავლა არ მიუღიათ.

— იმპერატრიცა მარიას სახელობაზედ დაარსებულ დაწესებულებათა უწყებას აზრათა აქვს დააარსოს სრულიად რუსეთის ქველმოქმედთა ცენტრალური საზოგადოება. ამ საზოგადოების წესდების პროექტის განხილვას უკვე შესდგომიან.

— რუსეთის სახელმწიფო რკინის გზათა მიერ პარიჟის მომავალ გამოფენაზე მონაწილეობის მიღებისათვის გზათა სამინისტრომ 150,000 გადასდო.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** სამხედრო მინისტრმა აღუკრძალა ისტორიისა და ლიტერატურის პროფესორს ყორუ დიურიუს ლექციების კითხვა პოლიტეხნიკურს სკოლაში. ასეთი საქციელი ფრეისინეს მხრივ შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: დიურიუ დრეიფუსის მომხრეა და ხმარად წერილებსა ბეჭდავდა სხვა-და-სხვა პერიოდულ გამოცემაში დრეიფუსის საქმის ხელმეორედ გადასინჯვის სასარგებლოდ. მაგრამ პოლიტეხნიკურ სასწავლებლის სტუდენტები ანტი-დრეიფუსარები გამოდგნენ და თავიანთ პროფესორის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოახდინეს. ხსენებულ სასწავლებლის უფროსმა, გენერალმა ტულზამ, მშვიდობიანობის აღსადგენად (და შეიძლება იმიტომაც, რომ თითონვე ანტი-დრეიფუსარია) საჭიროდ დაინახა, დიურიუს შეეწყვიტნა ლექციების კითხვა და მინისტრისაგან ამის შესახებ ნება-რთვა აიღო. მაგრამ ინციდენტი ამით არ დამთავრდა, დეპუტატთა პალატაში მემარცხენე შეეკითხნენ ფრეისინეს ამ საქმის შესახებ, და როცა თავის მართლება დაიწყო, რამდენჯერმე გააწყვეტინეს ლაპარაკი. ეს იწყინა ფრეისინემ და მეორე დღესვე სამსახურიდგან გადადგომის თხოვნა შეიტანა. ამხანაგებმა ბევრი სთხოვეს, ისევ დარჩენილიყო სამსახურში, მაგრამ, როგორც დეპეშებით ვიცით, ფრეისინემ თავისი არ დაიშალა, და მისს ადგილას მინისტრად იქმნა საზოგადო მუშაობათა მინისტრი კრანცი. როგორც უკანასკნელად მოსულ დეპეშებიდგან სჩანს, ზოგნი იმ აზრისანი არიან, რომ ფრეისინემ ვერ მოასწრა თავზედ ხელის დაფარება იმ წარჩინებულ სამხედრო კაცთათვის, რომელთაც დრეიფუსის საქმეში დანაშაულობა ჰბრალდებათ, და იმიტომ დაანება სამსახურს თავიო. პალატაში უარ ჰყო ეს ცილის წამება მთავარ-მინისტრმა დიუპუიმ და შემდეგ უფრო ცხადად დამტკიცდება, რამდენად საფუძვლიანია ეს ხმები.

— ფრანგულმა გაზეთმა „Matin"-მა გამოაცხადა ამ დღეებში, რომ ესტერგაზის წიგნი გამოვა ჩქარა, რომელშიაც ბევრი საუცხოვო ამბავი იქნება გამოაშკარავებული. გაზეთს მოჰყავს წიგნის წინასიტყვაობის ერთი ადგილი, სადაც ესტერგაზი ამბობს, რომ ეხლა „სრულს ჭეშმარიტებას" ვიტყვიო, და, სხვათა შორის, ამტკიცებს, ვითომც საფრანგეთის ეხლანდელს მთავრობას მოციქულის პირით ეთხოვოს მისთვის, რომ ამდენსა და ამდენს მოგცემ, ოღონდ ნურაფერს გამოამჟღავნებ და რაც შენ ხელთ საიდუმლო ქაღალდებია, უკანვე დაგვიბრუნეო. თავისის სიტყვების დასამტკიცებლად, ესტერგაზი ბეჭდავს ერთის კაცის წერილებს, რომელიც წერილს მიუღია იმისაგან და რომელიც მასთან ყოფილა ჰოლანდიასა და ლონდონში. როგორც ესტერგაზი გვარწმუნებს, ეს კაცი ვითომც გაგზავნილი ყოფილიყოს მასთან დიუპუისა და ლებრეს მიერ. „ჰავასის სააგენტომ" ოფიციალურად უარ-ჰყო ესტერგაზის მიერ შეთხზული ამბავი. გარდა ამისა, ის კაცი, რომელიც ვითომც მოციქულად ყოფილიყოს გაგზავნილი ესტერგაზისთან საფრანგეთის მთავრობის მიერ, პალატის დეპუტატად ნამყოფი ლაგერი აღმოჩნდა, რომელიც ერთს დროს ბულანჟეს მომხრედ ითვლებოდა. ლაგერს განუცხადებია გაზ. „Temps"-ის თანამშრომლისათვის, რომ როცა ჩემი საკუთარი საქმეებისათვის ვიყავი ჰოლანდიასა და ლონდონში, ესტერგაზი მართლაც გნახე, მაგრამ ეს კაცი გავიცანი და მიწერ-მოწერა გავმართე მასთან, როგორც დრეიფუსის მოწინააღმდეგემ; მთავრობის მხრივ არავითარი მონდობილება არა მქონია ესტერგაზისთანაო.

—

**ავსტრია.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კანონით ჩეხებს უფლება აქვთ მინიჭებული, იქ, სადაც ისინი უმრავლესობას შეადგენენ, ყველა დაწესებულებაში საქმის წარმოება ჩეხურს ენაზედ არსებობდეს. ნემეცები დიდი წინააღმდეგნი არიან ამ კანონისა, ისინი ვერ შერიგებიან ამ გარდაწყვეტილებას და ამის გამო ერთი დაუსრულებელი განხეთქილება არსებობს მთავრობასა და ნემეც დეპუტატთა შორის. თუ როგორის მტრულის თვალით უყურებენ ამ კანონს ავსტრიის ნემეცები, შემდეგი მაგალითი გვიმტკიცებს:

ხების სასამართლოში ერთი ჩეხის საქმეს იცავდა ისევე ჩეხი-ვექილი მირჟიჩკა. ამ უკანასკნელს უსარგებლნია კანონის მიერ მინიჭებულ უფლებით და სიტყვა ჩეხურს ენაზედ წარმოუთქვამს სასამართლოში. ვექილის ასეთს საქციელს ძლიერ აუღელვებია იქ დამსწრე ნემცები. როცა მირჟიჩკა სასამართლოდამ გასულა, იქ დახვედრია მას მთელი გროვა ნემცებისა, რომელთაც ლანძღვა დაუწყიათ მისთვის, მუშტები მოუღერებიათ და ფეხის გადადგმის ნება არ მოუციათ, ეტლში რომ ჩამჯდარიყო. მირჟიჩკას შეშინებია და რევოლვერი ამოუღია ჯიბიდგან ხალხის მოსაცილებლად. ნემცებს რომ დაუნახავთ ეს, პოლიციის მოხელისათვის დაუძახნიათ, რომელსაც საქმის გამოურკვევლად—ვინ მტყუანი იყო და ვინ მართალი—მირჟიჩკა პოლიციაში წაუყვანია. იმას უკან დასდევნებიან ნემცები, რომელთა მოთხოვნილებით მირჟიჩკა პოლიციაში დაუპატიმრებიათ, ხოლო ნემცები-კი სიმღერით შინ დაბრუნებულან.

ამ ამბავმა ძლიერ აღელვა მთელი ჩეხიის საზოგადოება. ჩეხური გაზეთები თხოულობენ, რომ ეს საქმე გამოუძიებლად არ დარჩეს, რადგან ამით არა მარტო შელახულია კანონი, არამედ მტკიცდება კიდევაც, რომ სახელმწიფოს ან არ შეუძლიან და ან არა სურს დაიცვას უფლება თავისის ქვეშევრდომთა.

—

**კრიტი.** აღდგომის წინა დღეებში შესდგა კრიტის მთავრობა, რომლის წევრებს ეწოდებათ მრჩევლები, და არა მინისტრები. კონსტიტუციის ძალით, იმათ ნიშნავს და სცვლის კრიტის გენერალ-გუბერნატორი, თავისის შეხედულობით. ამ თავად ბატონიშვილმა გიორგიმ აირჩია თითო კაცი ყველა პოლიტიკურ დასიდგან; ამათ შორის 4 ქრისტიანია და ერთი მაჰმადიანი. კრიტის საეროვნო კრების პრეზიდენტად ნამყოფს სფაკიონაკის მიენდო საერო განათლებისა და სასჯულო საქმეები, კონდილოსს—იუსტიციისა, რევოლიუციონურ კრების პრეზიდენტად ნამყოფს 1896 წ. კუნდურისს—შინაგანი საქმეები, ფუმისს—საფინანსო და და ხასან-ბეგ სკილიანაკის—საზოგადო მუშაობა და სასოფლო მეურნეობა. საბჭოს თავმჯდომარედ იქნება სფაკიონაკი, თუმცა კი თანამდებობა არ არის მოხსენებული კონსტიტუციაში.

## სასამართლოს მატიანე

28 აპრილს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა მეორე განყოფილებამ გაარჩია საქმე კონსტანტინე ვართანოვისა (იგივე გიორგობიანი), ანნა ახშარუმოვისა, სარქისა შახბათოვისა და გეურქა არუთინოვისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ მარტიროსოვის მოკვლა. აი გარემოებანი ამა საქმისა:

12 გიორგობისთვეს 1898 წ., დილით ადრე მეხუთე საპოლიციო ნაწილის დესიატნიკმა რეშეტნიკოვმა შეჰნიშნა აბას-აბასის მოედანზე ტომარაში ჩადებული მოკლულის კაცის გვამი, რომელიც აღმოჩნდა ტფილისის მცხოვრებელი მარტიროსოვი. რეშეტნიკოვმა მაშინვე ბოქაულს შეატყობინა ეს ამბავი. ადგილობრივმა გასინჯვამ და ქუჩაზე სისხლის წვეთებზედ მიდევნამ პოლიცია მიიყვანა იქვე კათოლიკეთა პატარა ქუჩაში მცხოვრებ ტერ-ხეჩატუროვის სახლში, რომლის სარდაფშიაც კვლავ აღმოჩნდა სისხლის გუბე, ქუდი და ერთი ცალი კალოში მოკლულისა. იმ სარდაფის მაღლა ოთახში სცხოვრობდნენ დანი ანნა ახშარუმოვისა და ნატალია აბოვიანცისა. ანნა ახშარუმოვისამ ჯერ თურმე უარი განაცხადა, არა ვიცი-რაო, მაგრამ შემდეგ გამოტყდა და ასე უამბო როგორც ბოქაულს, აგრეთვე გამომძიებელს: ეგ კაცი კოსტა ვართანოვის მოკლულიაო; 11 გიორგობისთვეს მე, ჩემი და, მისი შვილი და კოსტა ვართანოვი (იგივე გიორგობიანი), რომელიც ჩვენთან ერთად სცხოვრობდა, დასაძინებლად ათ საათზედ დავწექით. ღამე ჩემმა ავადმყოფმა დამ ნატალიამ გამაღვიძა და მითხრა, რომ ჩვენ სარდაფიდამ რაღაც კივილი მოისმისო. ამავე დროს შევნიშნე, რომ კოსტა ვართანოვი ოთახში არ იყო; ავიღე სანათი და სარდაფში ჩავიხედე, დავინახე, რომ კოსტა ვართანოვი ვიღაცა კაცს ზედ დასწოლოდა. იმ კაცს ხელში რაღაც იარაღი ეჭირა ხანჯლისა, თუ დანის მაგვარი; კოსტა ჰლამიდა იმ იარაღის წართმევასა და რომ ვერა-მოახერხარა, აიღო და ხელზე უკბინა. იმ კაცმა ის იარაღი გაუშო; მე შემეშინდა და უკანვე გამოვბრუნდი; ცოტა ხნის შემდეგ თითონ კოსტაც ამოვიდა გასისხლიანებული; ხელები დაიბანა და სადღაც წავიდა; რამდენჯერმე მობრუნდებოდა და ისევ მიდიოდა; მერედ რომ მობრუნდა თან ათ თუმნიანი მოიტანა და ტომარა; ამასთანავე სთქვა, ეს ტომარა და ფული გეურქამ მომცაო. მერე მოიყვანა თავისი შეგირდი სარქისა შახბათოვი და იმის დახმარებით გვამი ტომარაში ჩადო და სადღაც წაიღოო.

შემდეგ გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ იმ დროს, როდესაც ვართანოვი მარტიროსოვსა ჰკლავდა—ანნა ახშარუმოვისაც ჰშველოდა; ეს გარემოება შეამოწმა ნატალია აბოვიანცის 13 წლის შვილმა, რომელიც მის დედას დედიდასათვის თან გაედევნებინა სარდაფში.

ბრალდებული ვართანოვი რამდენისამე დღის შემდეგ დატუსაღებულ იქმნა ქ. ბაქოში, სადაც მკვლელობის მეორე დღესვე წასულიყო ნატალია აბოვიანცის ქალიშვილის სანახავად, რომლის შერთვას იგი თურმე აპირებდა. ვართანოვმა თავისი დანაშაული აღიარა და პირველად ასე უამბო პოლიციას საქმის ვითარება: მოკლულს განზრახვა ჰქონდა ჩემი უმცროსის ძმის გაფუჭებისა და რამდენჯერმე მითხრა, შენი ძმა ძალიან მიყვარსო; მე ჯავრი ჩავიყოლე; 11 გიორგობისთვეს ღამე მუცელი ამტკივდა და აფთიაქში გავიქეცი წამლისათვის; გზაზე მარტიროსიანცი შემხვდა და საცემლად ჩვენ ეზოში შევიტყუე; მაგრამ იმანაც ძალა მოიხმარა, ჯერ ხანჯალი ამოიღო და როდესაც ხანჯალი წავართვი, რევოლვერით დამემუქრა; მეც ავიღე და მოვკალიო; მერე წაველი, გეურქა არუთინოვს მივუტანე მოკლულის ქამარი და საათი და იმანაც ტომარა და ათ თუმნიანი მომცაო. მერე-კი გადათქვა ეს ჩვენება და განაცხადა: ორმა კაცმა მომმართა სადმე გამესაღებინა მათგან მოპარული ვერცხლიო; მეც მივიწვიე მარტიროსოვი როგორათაც ოქრო-მჭედელი და ამგვარ საქმის მიმდევარი, ღამე სარდაფში შევიყარენით და ვერცხლს წონა დავუწყეთო; იმ ორმა კაცმა შეჰნიშნეს, რომ წონაში მარტიროსოვი ყალბად იქცეოდაო და ამის გამო მათ შორის ჩხუბი ასტყდაო; ჩხუბში მარტიროსოვმა რევოლვერი ამოიღო და შეშინებული ქურდები გაიქცნენო; მერე მე მომიბრუნდა, მაგრამ დავასწარ, ხანჯალი წავართვი და მოვკალიო. საათი და ქამარი ზედვე შევარჩინე და სარქისა შახბათოვის დახმარებით ტომარაში შევახვიე და ქუჩაში გავიტანეო; გეურქა არუთინოვისათვის არც ფული, არც ტომარა არ გამომირთმევიაო.

შემდეგმა გამოძიებამ დაამტკიცა, რომ 11 გიორგობისთვეს, საღამოს, როდესაც მარტიროსოვი მიდიოდა ვართანოვთან შესახვედრად—მას, (მარტიროსოვს) ჰქონია თან ორმოცი თუმანი; ეს ფული მოკლულს ზედ აღარ აღმოაჩნდა, ერთი ნაწილი ამ ფულისა პოლიციამ იპოვნა ნატალია აბოვიანცის კამოდის ყუთში; ზოგიერთ ქაღალდის ფულს სისხლის წვეთი დასცემოდა და ზედვე იყო შემხმარი. გამოძიებიდამვე სჩანს, რომ მარტიროსოვს და ვართანოვს დრო უნდა ჰქონოდეთ დანიშნული შეხვედრისათვის, რადგანაც მის სახელოსნოში მისულიყო უმცროსი ძმა ვართანოვისა ნიკო გიორგობიანი და ეთქვა, ჩემი ძმა გიცდისო.

შახბათოვმა სთქვა—უეცრად ღამე ჩემთან ვართანოვი მოვიდა, გამაღვიძა და მითხრა, საჭირო საქმეა, რკინის გზის სადგურზედ უნდა წავიდეთო; მე წავყევი, მაგრამ იმან თავისთან მიმიყვანა და როდესაც გავიგე, რომ ჩემი დახმარება უნდოდა მოკლულის გამოსატანად, ისე გავშრი,

რომ ხელი არ გამინძრევია და მკვდარსავით ვიდექიო.

არუთინოვმა-კი განაცხადა, — მე არც ფული, არც ტომარა არ მიმიცია ვართანოვისათვის, იგი ტყუილად მდებს ბრალსაო.

ბრალდებული ვართანოვი, როგორც თითონ ამბობს, სომეხია, თუმცა გვარად გიორგობიანია და ვართანოვის გვარს ატარებს, ხელობით მკალავია და შეძლებით ძალიან ღარიბი. მას თურმე უნდოდა ნატალია აბოვიანცის ქალიშვილის რიფსიმეს შერთვა, მაგრამ იგი თურმე იმ პირობებს უდებდა, რომ კარგა ჩაიცვი, კარგა დაიხურე და კარგი მაღაზია გაალეო.

ბრალსა სდებს ოლქ. სასამართ. ბრალმდებლის ამხან. რიბინი. ბრალდებულთ იცავენ: ახშარუმოვი'ას — ნაფ. ვექ. მელიქ ადამოვი, შახბათოვს — ნაფ. ვექ. თანაშემწე — გძელიშვილი და არუთინოვს — ტურკევიჩი. ვართანოვმა ვექილი არ მოისურვა.

(დასასრული იქნება)

—

ქალაქ გორში, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ 26 აპრილს განიხილა საქმე გორის მაზრის, სოფ. ხოკის მცხოვრებელის გიგო მაქსიმეს ძე ფილიშვილისა, რომელსაც კორძაიას მოკვლა ჰბრალდებოდა. აი საქმის ვითარებაც.

15 თებერვალს 1898 წლ. გორის მაზრის სოფელ წიფლიანში ფილიშვილი შეხვდა ზღუდრის საზოგადოების მთავრობის მიერ დანიშნულ მამასახლისს კორძაიას და, განიზრახა რა მისი მოკვლა, ხმალი ორჯელ დაარტყა საფეთქელში, რის გამოც კორძაია გარდაიცვალა.

საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ფილიშვილი კორძაიასთან ყოფილა ჩაფრათ და ექვსი მანეთი უსესხნია მისგან, რომელიც შემდეგ ჯამაგირიდგან დაუჭერია ფილიშვილისათვის. ფილიშვილს გული მოსვლია და მოუკლავს კორძაია.

სასამართლომ დამნაშავეთ იცნო ფილიშვილი და ყოველივე ღირსების ჩამორთმევის შემდეგ ციმბირში გარდასახლება მიუსაჯა.

## დამავიწყდა

კარგი კაცი გამოჩნდების სიმართლისა სამძრკველად.

როსტომიანი

* * *

მღონარესა მუშაკსა ნებავს ჟამსა მცისასა განსვენება და ჩრდილთა შინა ყოფა, სიმაღლე ჟამსა გაზაფხულისასა და სავსება ზურით.

სულხან საბა

* * *

ზოგი კაცი დიდ არს და უგნის დიდისა, გარნა ზოგი დიდი კაც არს უგმირეს გმირისა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შეერთებულ შტატების ქალაქ კანტონში ამას წინად სასამართლომ განიხილა ერთის ქალის, — ანნა ჯორჯის საქმე. ანნა ჯორჯი მთელი სამი წელიწადი შეერთებულის შტატების აწინდელის პრეზიდენტის მაკ-კინლეის ცოლის ძმასთან — საკსტონთან სცხოვრობდა. ჯორჯი და საკსტონი სამი წელიწადი კარგ განწყობილებაში იყვნენ, მაგრამ ბოლოს საკსტონმა თავი გაანება ჯორჯს და სხვა ქალთან დაიწყო ცხოვრება. გაბრაზებულმა ჯორჯმა ველარ მოითმინა ეს, და რევოლვერით მოჰკლა იგი. ამ მკვლელობამ შეერთებულ შტატებში დიდი ლაპარაკი და აურ-ზაური გამოიწვია. საქმის გარჩევას აუარებელი ხალხი ესწრებოდა. თუმცა მოკლულ იქმნა ნათესავი ისეთის დიდის კაცისა, როგორიც შეერთებულის შტატების პრეზიდენტია, მაგრამ სასამართლომ მაინც მკვლელი ანნა ჯორჯი უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა. დამსწრე საზოგადოება სასამართლოს განაჩენს სიხარულითა და ტაშის ცემით მიეგება.

* * *

წარსულის წლის ოქტომბრის თვეში ინგლისის ერთ-ერთ სასამართლოშივე განხილულ იქმნა ერთი საყურადღებო საქმე. წარჩინებულის ინგლისელის გარბერტონის ცოლი უჩიოდა ერთის სასტუმროს პატრონს, სასტუმროში არ შემიშვა და ღამე არ გამათევინაო. ქ-ნ გარბერტონს ველოსიპედით უმოგზაურნია. დაბა ოკამში გარბერტონი ერთ სასტუმროში მისულა და იქ ჩამოხტომა მოუნდომებია, მაგრამ სასტუმროს პატრონს სახლში არ შეუშვია იმ მიზეზით, რომ მოგზაურ ქალს იუბკის ნაცვლად შარვალი ეცვა. გარბერტონს სწყენია ესა და სასამართლოში საჩივარი შეუტანია სასტუმროს პატრონის წინააღმდეგ. საქმე განუხილავს ნიფიც მსაჯულთა სასამართლოს. გარჩევის დროს მოპასუხის ვექილს უკითხნია ქ-ნ გარბერტონისათვის, რად გეცვათ იმ მოგზაურობის დროს შარვალიო, რატომ შარვალს სხვა დროს არ იცვამთ, მაგალითად, როდესაც ეკკლესიაში, თეატრში მიდიხართ, ან რატომ დღეს, სასამართლოში არ გაცვიათო. ქალს უეცრად ვერაფერი მოუხერხებია და ხმა ვერ ამოუღია, რის გამო მოსამართლეებს, ცოტაოდენის თათბირის შემდეგ, სასტუმროს პატრონი უდანაშაულოდ უცვნიათ და გაუმართლებიათ.

* * *

ამ ჟამად განათლებულ ქვეყნებში დიდს ხმარებაშია ესრედ წოდებული სადარბაზო ბარათები. დღემდის ეგონათ, რომ სადარბაზო ბარათების ხმარება ევროპიელთა გამოგონილიაო, მაგრამ ამ ბოლოს დროს აღმოჩნდა, რომ იგი ჩინელებისა და არა ევროპიელთა ჭკუის ნაყოფია. სადარბაზო ბარათებს უხსოვარ დროიდგან ხმარობენ თურმე ჩინეთში. ევროპაში ეს ბარათები შემოუღიათ მხოლოდ მე-16 საუკუნეში. ყველაზედ ადრე ევროპის ხალხთა შორის სადარბაზო ბარათების ხმარება დაუწყიათ გერმანელებს; განსაკუთრებით გერმანელ სტუდენტთა შორის იყო იგი ძალიან გავრცელებული.

* * *

უწინდელს დროში ვისმეს რომ ეთქვა, დედამიწას შემოვუარეო, არავინ დაუჯერებდა, დღეს-კი რკინის გზებისა და გემების წყალობით ისე გაადვილდა მიმოსვლა, რომ დედამიწის შემოვლა სულ ადვილი საქმე გახდა. მრავალია დღეს ისეთი კაცი, რომელსაც ღედამიწისათვის რამდენჯერმე შემოუვლია. ერთს ავსტრალიელს კაპიტანს, გვარად ბონს, მაგალითად, მე-53-ჯერ შემოუვლია დედამიწისათვის. ეს კაპიტანი ერთს გემზედ მსახურებდა, რომელიც წელიწადში ორჯელ დაიარებოდა ახალ ზელანდიდგან ინგლისში ინდოეთის და ატლანტიის ოკეანეთი და შემდეგ ინგლისიდგან უკან ამერიკაზედ და დიდის ოკეანეთი ბრუნდებოდა, ესე იგი ყოველთვის დედამიწას გარშემოუვლიდა. თითო ასეთი მგზავრობა 80 დღეს გასტანდა ხოლმე.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აპრილი

**პარიჟი.** Matin-ი გადმოგვცემს ესტერგაზის ნალაპარაკევს, რომელიც, ლაგერრის მიერ უარ-ყოფის მიუხედავად, ამტკიცებს თურმე, რომ ლაგერრი ლონდონში მოვიდა ჩემთან მოსალაპარაკებლად დიუპუისა და ფრეისინეს სახელითაო.

„Echo de Paris“ აღნიშნავს საფრანგეთის არტილერიის უძლურებას გერმანიის არტილერიასთან შედარებით და ამტკიცებს, რომ მოვალეობა აქვს პალატას ფული გადასდოს ახალის სამხედრო ხარჯისათვის ამ უძლურების ასაცილებლად.

**სოფია.** გუშინ არჩევანები იყო კრებაზედ, რომელმაც მშვიდობიანად ჩაიარა, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ ჩხუბს, მომხდარს სამს საარჩევანო ოლქში. ჯერ არავინ იცის, ვინ არის ამორჩეული, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობის მომხრე დასი საერთოდ დეპუტატების რიცხვის ორმესამედს შეადგენს. სოფიაში ამორჩეულნი არიან მინისტრ-პრეზიდენტი გრეკოვი, მინისტრი რადასლავოვი, ნაჩევიჩი, ტენევი.

**ბერლინი.** „Kreiz Zeitung“-ის სიტყვით მთავრის დანიელ ჩერნოგორიელის საცოლო იუტტა მეკლენბურგ-სტრელიცკისა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას შემოუერთდება. ეს ამბავი ბერლინში მოხდება. ხოლო ჯვარისწერა ცეტინიეში.

**სოფია.** არჩევანის შესახებ შემდეგი ამბავია ცნობილი: 92 კანდიდატი მთავრობის მომხრეა ამორჩეული და 46 ოპოზიის სხვა-და-სხვა ფრაქციისა. 31 არჩევანის შესახებ ცნობები ჯერ არა ვიცით რა.

27 აპრილი

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის სამხედრო ოლქში დაბანაკებულ ჯარებთან გაგზავნილს ბრძანებაში გამოცხადებულია, რომ ხელმწიფე იმპერატორმა უბრძანა დიდს მთავარს ვლადიმირ ალექსანდრეს ძეს დაათვალიეროს ჯარები, რომელნიც დაბანაკებულ არიან ვიბორგსა, ვილმანსტრადსა, გელსინგფორსა, სვეაბორგსა, ტავასტგუსსა, აბოსა და ნიკოლაისტადსა.

გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი ადმირალი პოსიეტი.

**პარიჟი.** ნაციონალისტს ვერრის სურს შეეკითხოს მთავრობას ფრეისინეს სამსახურიდგან გადადგომის შესახებ. მთავრობა სთანხმდება ეს საგანი დაუყოვნებლივ იქმნას განხილული. ვერრი კითხულობს, ფრეისინეს გადადგომა სამსახურიდგან ამხანაგებთან განხეთქილებას ხომ არ გამოუწვევიაო; იმიტომ ხომ არ დაუნებებია პორტფელისათვის ფრეისინეს თავი, რომ ვეჰ მოახერხა დაეფარა მხედართ მთავარნიო? ორატორი კითხულობს, საზოგადო მუშაობის პორტფელი რატომ გარდაეცა სენატორს, რომელმაც იმ კანონის წინააღმდეგ მისცა ხმა, რომლითაც საქმის გადათვალიერება საკასაციო პალატას უნდა ჩამორთმეოდაო? ვერრის სურს გაიგოს, მთავრობამ შეიცვალა აზრი ამ კანონის შესახებ, თუ არა? დიუპუიმ უპასუხა, ფრეისინემ მომანდო განვაცხადოვო", — რომ ის იმ მიზეზისა გამო გადადგა სამსახურიდგან, რომელიც მინისტრ-პრეზიდენტს განუცხადაო. დიუპუი ამტკიცებს, რომ კაბინეტში არავითარი უთანხმოება არ ყოფილაო, და მთავრობას არ შეუცვლია თავისი აზრი ხსენებულ კანონის შესახებო; მაგრამ შეუძლებელია, ერთი რომელიმე კანონი შეადგენდეს რესპუბლიკის პოლიტიკის ქვა-კუთხედსო; მანესტიე დანიშნულ იქმნა საზოგადო მუშაობათა მინისტრად იმიტომ, რომ მინისტრ-პრეზიდენტი ამ საქმის კარგად მცოდნედ ჰხედავს მასო. ტრიბუნაზედ ადის ნაციონალისტი ლაზი. ის კითხულობს, უთანხმოება ხომ არა მომხდარა რა ფრეისინესა და დელკასეს შორის პალეოლოგის საქმის გამოვო; ამის შესახებ ერთმანეთისათვის სასტიკი შინაარსის წერილები ხომ არ გაუგზავნიათო? დიუპუიმ უპასუხა, რომ ეს სავსებით მოკლებულია სიმართლესო. მთავრობამ წინადადება მისცა პალატას შეუდგეს მორიგ საქმეებს, რაიცა 446 ხმით, 66 წინააღმდეგ, მიღებულ იქმნა.

**იოფია.** არჩეულ იქმნა მთავრობის დასის 104 კანდიდატი და 53 წევრი ოპოზიციის სხვა-და-სხვა ფრაქციისა, ამათ შორის ფრაქციების მოთავეებს, 12 კაცს ხელ-მეორედ უნდა უყარონ კენჭი.

**მადრიდი.** პოლავიზამ ნება მისცა რიოსს ესპანიაში დაბრუნდეს, როცა ის საჭიროდ დაინახავს.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის დელეგატები, ჯარების შემცირების შესახებ კონფერენციაზედ დასასწრებლად დანიშნულნი, გაიგას გაემგზავრნენ.

27 აპრილი

**პეტერბურგი.** დღეს, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღეს, ისაკიევის ტაძარში წირვა გარდაიხადა პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონიმ. წირვას დაესწრნენ დიდნი მთავარნი და სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა თანამდებობის წარჩინებულნი კაცნი. ქალაქი ბაირაღებით იყო მორთული. საღამოს გაჩირაღდნებული იყო.

**გატჩინო.** დღეს, ტახტის მემკვიდრის დაბადების დღის გამო, გატჩინოს სასახლის ეკკლესიაში სასახლის სამღვდელოების მიერ გარდახდილ იქმნა წირვა. წირვას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, მინისტრები იმპერატორის სასახლისა, გარეშე საქმეთა და სამხედრო. წირვის შემდეგ გამართულ იქმნა უმაღლესი საუზმე.

**კიევი.** დღეს დაიწყო გამოცდა სტუდენტებისა სახელმწიფო კომისიებში. ეგზამენების სურვილი განაცხადეს: საისტორიო და საფილოლოგიო კომისიაში 11 კაცმა, ფიზიკისა და მათემატიკისაში — 43, იურიდიულში — 165, სულ 212 კაცმა. იმათ შორის ებრაელია 21 და კათოლიკე — 33. აგრეთვე ყველა ფაკულტეტის სტუდენტების ერთი კურსიდგან მეორეში გადასასვლელი ეგზამენებიც დაიწყო.

**პარიჟი.** „Eveuement“-ს გაუგონია, ვითომც მარშანი მოეკლათ ჯიბუტში მისვლის წინა დღეს. სამინისტროებში გაზეთებმა ვერავითარი ცნობები ვერ იპოვნეს ამ ხმების შესახებ.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“-ს დეპეშით ატყობინებენ სიმლიდგან, რომ ავგანის ემირსა და ინდოეთის ვიცე-კოროლს შორის ერთი განუწყვეტელი მეგობრული მიწერ-მოწერა არისო. ასეთი გულწრფელი დამოკიდებულობა არასოდეს არა ჰქონია ინდოეთის მთავრობას ავგანისტანთან, როგორც ამ ჟამადო.

**პარიჟი.** საახალშენო სამინისტროში არავითარი ცნობა არ არის მოსული მარშანის მოკვლის შესახებ.

28 აპრილი

**პეტერბურგი.** დედოფალმა იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, განიხილა რა მოხსენება შრომის სახლთა კომიტეტისა მოუსავლობით დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ, დაამტკიცა შედგენილი ინსტრუქცია და ბრძანა: გაგზავნილ იქმნან ყაზანისა, ვიატსკისა და სიმბირგის გუბერნიებში კომიტეტის წევრი გალკინ-ვრასკი და მარსკისა და უფის გუბერნიებში — კომიტეტისავე წევრი ბარონი ბუქსგევდენი იქ მცხოვრებთათვის შემწეობის აღმოსაჩენად. თითო გაგზავნილს რამდენიმე თანაშემწე დაენიშნება. მათ ნება ექმნებათ შემოწირულებაც აოჰკრიბონ. ორივე რწმუნებული პეტერბურგიდგან დასახელებულ გუბერნიებში წავლენ 1 მაისს. დედოფალმა იმპერატრიცამ კეთილ ინება და იმ თანხის გასაძლიერებლად, რომელიც ხოლო შრომის კომიტეტმა გადასდო დაზარალებულთა სასარგებლოდ, შესწირა თავისის ქონებიდგან 50,000 მანეთი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ამ სააღდგომოდ მისმა ბრწყინვალებამ, კავალერიის გენერალმა, თავადმა ივანე გივის ძე ამილახვარმა გამომიგზავნა ოც-დახუთი მანეთი მათდა დასარიგებლად, ვინც აღმოჩნდებოდა შეუძლებელი ჩემდამო რწმუნებულს მრევლში. რადგანაც ჩემს მრევლს შეადგენენ გორში დაბანაკებული ჯარები, მე ამოვარჩიე ყოველ როტიდამ, გორის პოლკში, ღარიბის დედმამიშვილისა და კაი ყოფა-ქცევის ჯარის-კაცნი, ეროვნების განურჩევლად, შევკრიბე ეკკლესიაში და დავურიგე თითოს ათ-ათი შაური და ამასთანავე შევატყობინე, ვინც გამოუგზავნათ იგი საჩუქარი. საჩუქრის მიმღებთ ერთხმად მომმართეს და მთხოვეს, რათა მოვახსენო მათ მაგიერად უმდაბლესი მადლობა მისს ბრწყინვალებას.

ვასრულებ-რა მათ თხოვნას, დავსძენ, რომ, როგორც გავიგე, გორის ყველა ეკკლესიაში, სარწმუნოების განურჩევლად, გამოუგზავნია დიდად პატივცემულს თავადს სააღდგომოდ ფული საწყლებისათვის დასარიგებლად. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ. (მათ. 5, 7).

ვთხოვ უმორჩილესად ყველა ქართულ-რუსულ გაზეთებს გადაჰბეჭდონ ეს წერილი.

მღ. ნ. ნათიძე


განცხადებანი

Покупайте только




ЦВѢТОЧНЫЙ О-ДЕ-КОЛОНЪ, ИЗОБРѢТЕННЫЙ Товариществомъ Брокаръ и Ко.

Этотъ о-де-колонъ употребляется какъ духи, туалетная вода и куренія.

Остерегаться поддѣлокъ.

(11— —10)